

ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამა
საბანკო კრედიტის ხელშეკრულება # -ის დანართი 1

თბილისი, საქართველო,

[წელი] წლის [რიცხვი, თვე]

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო პროგრამის „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის“ ფარგლებში ხორციელდება კლიენტის დაფინანსება და დაფინანსებისთვის საჭირო სხვა პირობებთან ერთად განკარგულებით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით უნდა მოხდეს მხარეებს შორის შეთანხმება,

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. **განკარგულება** - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის № 2384 განკარგულებით დამტკიცებული „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამა“ და მასში შესული ყველა ცვლილება-დამატება;
- 1.2. **დეფოლტი - ბანკსა და კლიენტს შორის კრედიტთან დაკავშირებით დადებული გარიგებ(ებ)ით**, მათ შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ისეთი გარემოებ(ებ)ის დადგომა, რომელიც ბანკს ანიჭებს ზემოაღნიშნული გარიგებ(ებ)ის ცალმხრივად შეწყვეტის უფლებას;
- 1.3. **პროექტის თანადაფინანსება - განკარგულებით** განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მხრიდან კომერციული ბანკის პროექტის ბენეფიციარზე გასაცემი ფულადი სახსრები.
- 1.4. **სააგენტო** - ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“, ს/კ 404923785, მისი ყველა უფლებამონაცვლე და სამართალმემკვიდრე;
- 1.5. **კრედიტი - საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული სესხი;

2. განცხადებები და გარანტიები

- 2.1. **კლიენტი** ადასტურებს, რომ: (ა) **ბანკმა** სრულად და გარკვევით მიაწოდა **კლიენტს** ინფორმაცია **პროექტის თანადაფინანსების** პირობების და ამ სქემიდან გამომდინარე **კლიენტის** ვალდებულებების შესახებ; (ბ) **კრედიტთან** დაკავშირებულ გარიგებებს დებს საკუთარ ცოდნაზე, სხვადასხვა წყაროდან მოკვლეულ ინფორმაციაზე და მიღებულ კონსულტაციაზე დაყრდნობით.
- 2.2. **კლიენტი** აცხადებს და ადასტურებს, მისთვის ცნობილია, რომ:
 - 2.2.1. **კრედიტი** ფინანსდება **პროექტის თანადაფინანსების** ფარგლებში, შესაბამისად მისთვის ცნობილია, **განკარგულებით** განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის: (ა) დაფინანსების კრიტერიუმები, მიზნობრიობა; (ბ) **კრედიტით** დაფინანსებული წარმოების/ მომსახურების მიწოდების დაწყების ვადები; (გ) სანქცია/პირგასამტეხლო, გათვალისწინებული **კლიენტის** მიერ **კრედიტის მიზნობრიობის** დარღვევისთვის; (დ) **კრედიტთან** დაკავშირებით **ბანკსა და სააგენტოს** შორის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიმოცვლის მოთხოვნები;

3. უფლებები და ვალდებულებები

- 3.1. **კლიენტი** აცხადებს გამოუთხოვად თანხმობას, რომ **კრედიტის** განაცხადის დამუშავების, **კრედიტთან** დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის, მონიტორინგის, კონტროლის, მართვის ან/და კანონმდებლობით დამკვეთის სხვა მიზნ(ებ)ისთვის, ნებისმიერი ოდენობით, მოცულობით და სიხშირით:
 - 3.1.1. **ბანკი** (ან მისი უფლებამონაცვლე) უფლებამოსილია, გადასცეს **სააგენტოს**, გამოითხოვოს **სააგენტოსგან**, გადასცეს ნებისმიერ პირს (თუ ასეთი პირის სასარგებლოდ ხდება/განხორციელდა **კრედიტთან** დაკავშირებული გარიგებებიდან მოთხოვნის დათმობა), დაამუშაოს **კრედიტთან**, ასევე **კლიენტთან**, **დაკავშირებულ ხელშეკრულებაში** მითითებულ პირ(ებ)თან და უზრუნველყოფის საშუალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური და ფინანსური ინფორმაცია) ან/და დოკუმენტი;
 - 3.1.2. **სააგენტო** უფლებამოსილია გადასცეს **ბანკს** (ან მის უფლებამონაცვლეს) ან/და გამოითხოვოს **ბანკისგან** (ან მისი უფლებამონაცვლისგან), ასევე დაამუშაოს **კრედიტთან**, ასევე **კლიენტთან**, **დაკავშირებულ ხელშეკრულებაში** მითითებულ პირ(ებ)თან და უზრუნველყოფის საშუალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური და ფინანსური ინფორმაცია) ან/და დოკუმენტი.
- 3.2. **სააგენტო** უფლებამოსილია **საკრედიტო გარანტიის** მოქმედების პერიოდში, **ბანკთან**, **კლიენტთან** ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულებაში** მითითებულ პირ(ებ)თან წინასწარი შეთანხმების გარეშე, **სააგენტოს** მიერ დადგენილი სიხშირით და პერიოდულობით, განახორციელოს **კრედიტის** მიზნობრიობის მონიტორინგი (მათ შორის შესაბამისი წარმომადგენლ(ებ)ის ადგილზე ვიზიტის გზით).
- 3.3. **ბანკი** უფლებამოსილია **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში, **სააგენტოსთან**, **კლიენტთან** ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულებაში** მითითებულ პირ(ებ)თან წინასწარი შეთანხმების გარეშე, **ბანკის** მიერ განსაზღვრული სიხშირით და პერიოდულობით, განახორციელოს **კრედიტის** მიზნობრიობის მონიტორინგი, მათ შორის შესაბამისი წარმომადგენლ(ებ)ის ადგილზე ვიზიტის გზით.
- 3.4. **კლიენტი ვალდებულია:**
 - 3.4.1. **ბანკის** წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში, აუნაზღაუროს **ბანკს** **სააგენტოს** მიერ დაკისრებული ნებისმიერი თანხა (პირგასამტეხლო ან ნებისმიერი სხვა გადასახდელი), რაც **ბანკის** დასაბუთებით (**კლიენტისთვის** ყოველგვარი დამატებითი დოკუმენტალური მტკიცებულებების წარდგენის გარეშე) გამოწვეული იქნება **კლიენტის** ბრალეული ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით).

3.4.2. **ბანკის** მოთხოვნის შესაბამისად, გადაიხადოს **საბანკო კრედიტზე** დარიცხული (ასევე მომავალში დარიცხული) პროცენტი სრული ოდენობით ((იგულისხმება: (ა) ის ნაწილიც, რომელიც უნდა გადახდილიყო **სააგენტოს** თანადაფინანსებით; და (ბ) **სააგენტოს** მიერ უკანგამოთხოვილი თანადაფინანსებული თანხაც)) თუ **სააგენტო** ნებისმიერი საფუძვლით (იმის მიუხედავად თუ ვისი ბრალეულობით იქნება ეს გამოწვეული), სრულად ან ნაწილობრივ, არ განახორციელებს, შეწყვეტს, შეაჩერებს დაფინანსებას ან/და უკან გამოითხოვს დაფინანსების თანხას.

3.4.3. **ბანკის** მოთხოვნიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, ასევე არაუგვიანეს **კრედიტის** პირველი ნაწილის ათვისებიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადაში წარუდგინოს **ბანკს** და **სააგენტოს კრედიტის** თანხის მიზნობრივი გახარჯვის და **კრედიტის** მიზნობრიობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, სსიპ „ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის (რომელსაც ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგად მინიჭებული აქვს დასკვნითი შეფასება - I, II, III ან IV კატეგორია) მიერ მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა (რომლის მომზადებისას გამოყენებულ უნდა იქნას სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებული მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტები) **კრედიტის** თანხის მიზნობრივად გახარჯვის და **კრედიტის** მიზნობრიობის შესრულების შესახებ.

3.4.4. **სააგენტოს** მიერ **კლიენტისთვის** განკუთვნილი დაფინანსების სრული თანხა, რომელიც **კლიენტს** გადაეცემა **კრედიტის** მიზნობრიობის დადასტურების შედეგად, მიმართოს **კრედიტის** წინსწრებით დასაფარად/შესამცირებლად თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

3.4.5. **კრედიტით** დაფინანსებული პროექტი განახორციელოს **პროგრამით** გათვალისწინებულ რეგიონში, სადაც რეგისტრირებულიც უნდა იყოს და უნდა ოპერირებდეს.

3.5. **ბანკი უფლებამოსილია:**

3.5.1. გაცემული **სააგენტოს** მიერ **პროექტის თანადაფინანსების** ნებისმიერი საფუძვლით **სააგენტოს** მიერ შეწყვეტის, შეჩერების, გამოთხოვის შემთხვევაში ან/და **კლიენტის** მიერ ამ **დანართით ბანკისთვის** ან/და **სააგენტოსთვის** მინიჭებული უფლებამოსილების/გაცემული თანხმობის (ან მისი ნებისმიერი ნაწილის) რომელიმე საფუძვლით გაუქმების/შეჩერების შემთხვევაში (ა) შეაჩეროს ან შეწყვიტოს **კრედიტის** ტრანშის (ნაწილის) გაცემა; ან/და (ბ) **კლიენტის** 5 (ხუთი) დღით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით ცალმხრივად გაზარდოს **საბანკო კრედიტის** საპროცენტო განაკვეთი ან/და **საბაზისო განაკვეთი** მაქსიმუმ 4 (ოთხი) პროცენტული ერთეულით.

3.5.2. მოითხოვოს **კრედიტთან** დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის, მათ შორის **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** პირობების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება (შეცვლა) (ხოლო **ბანკის** მიერ ინიცირებული შეცვლილი პირობები ძალაში შევა **კლიენტის** 10 (ათი) დღით ადრე შეტყობინების გზით) იმ შემთხვევაში თუ **პროექტის თანადაფინანსების** პირობები შესაბამისი ნორმატიული აქტ(ებ)ით სხვა პირობ(ებ)ით ჩამოყალიბდება, რამაც შესაძლოა საზიანოდ იმოქმედოს **ბანკის** ინტერესებზე.

3.5.3. **კრედიტის** თანხის მიზნობრივად გახარჯვის ან/და **კრედიტის** მიზნობრიობის შესრულების დადასტურების მიზნით, მოითხოვოს **კლიენტს** ზემოაღნიშნული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის **ბანკისთვის** ან/და **სააგენტოსთვის** წარდგენა.

3.5.4. **სააგენტოს** მიერ **კლიენტისთვის** განკუთვნილი დაფინანსების სრული თანხა, რომელიც **კლიენტს** გადაეცემა **კრედიტის** მიზნობრიობის დადასტურების შედეგად, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს მათ შორის **კლიენტის ანგარიშიდან** და მიმართოს **კრედიტის** წინსწრებით დასაფარად/შესამცირებლად.

4. **სხვა პირობები**

4.1. წინამდებარე **დანართი** წარმოადგენს **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** პირობებსა და წინამდებარე **დანართის** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება ამ **დანართის** პირობებს.

4.2. **დანართის** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცათ **მხარეებს**.

5. **მხარეთ ხელმოწერები**

ბანკი

კლიენტი
